



საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და
ბანკითარების ცენტრი



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი

მოწვევა განაცხადების მისაღებად კონკურსში „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ მონაწილეობასთან დაკავშირებით

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი იწვევენ თბილისში მოქმედ დაინტერესებულ უმაღლეს სასწავლებლებს კონკურსში - „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014“ მონაწილეობისათვის.

კონკურსის შესახებ

კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას სტუდენტებისათვის არა მარტო გაიღრმავონ ცოდნა, ახალ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს დაეუფლონ, საკუთარი თავი წარმოაჩინონ და საკუთარი უნივერსიტეტის ღირსება დაიცვან თანატოლებთან პაექრობაში, არამედ არსებულ სოციალურ საწარმოებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრაში დაეხმარონ და ნოვატორული ბიზნეს-პროექტები შეიმუშავონ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებსაც სურთ ახალი სოციალური საწარმოს შექმნა.

კონკურსი უკვე მესამე წელია იმართება. 2012–2013 წლების კონკურსებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა უნივერსიტეტებმა: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქართული უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

დაწვრილებითი ინფორმაცია გასული კონკურსების მიმდინარეობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.gosocialenterprise.ge

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანს წამოადგენს ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია და სტუდენტების აქტიური ჩართვა სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რაც მთლიანობაში ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

კონკურსის მიზანი სრულად შეესაბამება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების

ცენტრის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა შორის სოციალურ მეწარმეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 2009 წლიდან მოყოლებული. დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციებისა და სოციალური მეწარმეობის კუთხით მათი საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის ვებ-გვერდებზე: www.epfpound.ge, www.csrdg.ge, www.cse.ge

სოციალური საწარმო

სოციალური საწარმო გახლავთ ბიზნეს პრინციპებით მოქმედი საწარმო, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის ნოვატორულ მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვეულებრივი ბიზნესისაგან განსხვავებით, სოციალური საწარმოს მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მეწილეებისა და მფლობელებისათვის. სოციალური საწარმო მოგების რეინვესტირებას ახდენს თემში ან ბიზნესში სოციალური მიზნების მისაღწევად.

კონკურსის მონაწილეები

კონკურსში მონაწილეობას იღებს თბილისის ნებისმიერი 4 უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ბაზაზე არსებობს ბიზნესის მართვის ფაკულტეტი. უმაღლესი სასწავლებლების შერჩევა მოხდება მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს დაინტერესების წერილი, რომელშიც დააფიქსირებს კონკურსში (დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ იხილეთ დანართის სახით) მონაწილეობის მზაობას, რაც გულისხმობს:

- თანამშრომლობას კონკურსის ორგანიზატორებთან კონკურსის ყველა ეტაპზე (ამ მიზნით, სასურველია საკონტაქტო პირის/კურატორის გამოყოფას, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას კონკურსის ორგანიზატორებთან და კურიერებს გაუწევს სტუდენტურ ჯგუფებს კონკურსის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე)
- შიდა კომუნიკაციის საშუალებებით (თუ სხვა მეთოდებით) ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება სტუდენტებისათვის კონკურსის შესახებ და დაინტერესებული სტუდენტების მობილიზება (თითოეული უნივერსიტეტიდან კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღოს 4 სტუდენტით დაკომპლექტებულმა 6 გუნდმა)
- სტუდენტებისათვის სოციალური მეწარმეობის თაობაზე გაცნობითი სემინარისათვის სივრცის გამოყოფა
- სტუდენტების მაქსიმალური მობილიზების მიზნით, კონკურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების სანაცვლოდ სტუდენტებისათვის შესაბამისი კრედიტების მინიჭება (ან სხვა ფორმით წახალისება)
- სხვ.

დაინტერესების წერილი უნდა გაცემული და დამოწმებული იყოს რექტორატის მიერ.

განაცხადების წარდგენის ვადა

უმაღლესმა სასწავლებლებმა დაინტერესების წერილი უნდა გამოაგზავნონ ელექტრონული ფორმით არაუგვიანეს 7 ოქტომბრის 12:00 სთ-ისა ელ. ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: se@epfound.ge

საკონტაქტო პირები:

ნინო სუთიძე, პროგრამის კოორდინატორი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ტელ: 225 39 42; 225 39 43; 225 27 82, ელ. ფოსტა: nsutidze@epfound.ge

ნანა ქარსელაძე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ტელ: 2 39 90 19, nkarseladze@csrdg.ge